საქართველო
აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის
უმაღლესი საბჭოს ფრაქცია

ტელ: +995 (0) 32 228 54 48, ელ.ფოსტა contact@sca.ge, ბათუმი, ლუკა ასათიანის 37

08/02/2024
N 09-02-16/73

73-09-02-16-2-202402081531

გარემოს ეროვნულ სააგენტოს

უფროსს ვასილ გედევანიშვილს

სადეპუტატო კითხვა

აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის კონსტიტუციის მე-15 მუხლის პირველი პუნქტისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის უმაღლესი საბჭოს რეგლამენტის 126-ე მუხლის შესაბამისად, გთხოვთ მოგვაწოდოთ შემდეგი ინფორმაცია:

1. 2013 წლიდან დღემდე გარემოს ეროვნული სააგენტოს მიერ საფრთხეების შეფასების ყოველწლიური ანგარიშების, ეკოლოგიური, გეოლოგიური და სხვა ბიულეტენების, სამოქმედო გეგმების შესახებ დოკუმენტების(დასკვნა/ბიულეტენი/რეკომენდაცია/წერილი და სხვა ნებისმიერი დოკუმენტი) ასლები, აჭარის რეგიონის მუნიციპალიტეტების მიხედვით;
2. 2013 წლიდან დღემდე აჭარის მთავრობაზე, სამინისტროებსა და სხვა უწყებებზე გაგზავნილი წერილებისა და თანდართული დოკუმენტების ასლები მოსალოდნელ საფრთხეებზე, სამოქმედო გეგმებთან და რეკომენდაციებთან დაკავშირებით;
3. 2013 წლიდან დღემდე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე არსებულ მუნიციპალიტეტებზე გაგზავნილი წერილებისა და თანდართული დოკუმენტების ასლები მოსალოდნელ საფრთხეებზე, სამოქმედო გეგმებთან და რეკომენდაციებთან დაკავშირებით;
4. 2013 წლიდან დღემდე აჭარის მთავრობაზე, სამინისტროებზე, მუნიციპალიტეტებზე და სხვა უწყებებზე გაგზავნილი წერილებისა და რეკომენდაციების შესრულებაზე გამოთხოვილი იმნფორმაციის, მირებული პასუხებისა და დოკუმენტების ასლები;
5. 2013 წლიდან დღემდე შავი ზღვის სანაპირო ზოლის, აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიის საფრთხეებთან, ასევე განაშენიანებასთან დაკავშირებით თქვენს მიერ მომზადებული დასკვნების/კვლევების, რეკომენდაციების, სამოქმედო გეგმების ასლები, ასევე წერილების ასლები(დანართებთან ერთად) ვისაც გაეგზავნა საინფორმაციოდ/შესასრულებლად და სხვა;

6. 2014 წლამდე მოქმედებდა ბათუმის სანაპირო ზოლის ხელოვნურად კვების პროგრამა, რომელიც შეწყდა 2014 წელს. გთხოვთ მოგვაწოდოთ პროგრამის შეჩერებასთან დაკავშირებით თქვენი პოზიციის/კვლევებისა და რეკომენდაციების დოკუმენტების ასლები, პროგრამის შეჩერების გამო წარმოქმნილი საფრთხეების შესახებ რეკომენდაციებისა და სხვა დოკუმემნტების ასლები, ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის შესაბამის უწყებებზე და მუნიციპალიტეტებზე, აღნიშნულთან დაკავშირებით, თქვენს მიერ გაგზავნილი დოკუმენტების ასლები;
7. 2013 წლიდან დღემდე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის ტერიტორიაზე საფრთხეებთან და მათ პრევენციასთან დაკავშირებით თქვენს მიერ მომზადებული, კვლევების, რეკომენდაციების ასლები, მუნიციპალიტეტების მიხედვით, ასევე აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობაზე/შესაბამის სამსახურებზე და მუნიციპალიტეტებზე გაგზავნილი დოკუმენტების ასლები, დანართებთან ერთად;
8. გქონდათ თუ არა კონსულტაციები/შეხვედრები/განხილვები აჭარის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობასთან/შესაბამის სამსახურებთან, მუნიციპალიტეტებთან კრიზისის მართვის სამოქმედო გეგმასთან დაკავშირებით, არსებობის შემთხვევაში გთხოვთ მოგვაწოდოთ შესაბამისი ინფორმაცია/დოკუმენტების ასლები და კრიზისების მართვის სამოქმედო გეგმის ასლი;

პატივისცემით,

ელგუჯა ბაგრატიონი

თავმჯდომარე

ფრაქცია "ერთიანი ნაციონალური მოძრაობა"

ელექტრონული ხელმოწერა • QUALIFIED ELECTRONIC SIGNATURE • ეროვნული ბიბლიოთეკა